ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2439360

ნომერი: AR1377949

თარიღი : 12.02.2016

გაცემის თარიღი : 19.02.2016

გაცნობის თარიღი : 23.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბროსეს ქუჩასა და , მარჯვენა სანაპიროს კუთხეში ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ შველიძე პ/ნ 01026010048
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 20 ბ. 4

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი პაპასკირი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს. TRIA Group
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404957098

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს მირა გლობალი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405118689
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჯიმშერ შველიძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026001163

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1382483
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 15.07.2014

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 2014 წლის 15 ივლისის №1382483 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 ივლისის №1382483 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), ბროსეს ქუჩასა და მარჯვენა სანაპიროს კუთხეში, მოქ. ნ. კოულანოვის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობის (სასტუმროს) რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაშია 2014 წლის 15 ივლისიდან 2015 წლის 15 მაისის ჩათვლით.

2015 წლის 29 აპრილს N AR1305710 განცხადებით მოგვმართა ნ. კოულანოვის მინდობილმა პირმა, მოქ. ნ. შველიძემ (მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N110923546, 01.09.2011წ.), რომელიც ითხოვდა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით, სამსახურის 2014 წლის 15 ივლისის №1382483 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 აპრილის №1869280 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 ივლისის №1382483 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ "ნებართვა ძალაშია 2015 წლის 15 მაისის ჩათვლით" შეიცვალა ,,ნებართვა ძალაშია 2016 წლის 15 მარტის ჩათვლით“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 12.02.2016 წლის N AR1377949 განაცხადით მომართა მოქ. ნ. შველიძემ , მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით, სამსახურის 2014 წლის 15 ივლისის №1382483 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 ივლისის №1382483 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში კერძოდ, "ძალაშია 2015 წლის 15 მაისის ჩათვლით" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2016 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 ივლისის №1382483 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.